

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №64
2018 წლის 6 ივლისი

ქ.ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბი და დროშა) დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული:

ა) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გერბი (დანართი №1);

ბ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დროშა (დანართი №2).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ბესიკ ჭეჭია

დანართი №1

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გერბი



აღწერილობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გერბის ფარი ტალღისებურად გადაკვეთილია ორ ნაწილად ლაჟვარდ და ვერცხლის ველეზად. ვერცხლის ველი შეადგენს ფარის 1/5 -ს.

ფარის ლაჟვარდოვან ველზე გამოსახულია ოქროს საწმისი, რომელზეც მოთავსებულია მეწამული მცირე ფარი – ცენტრში ღვთისმშობლის ოქროს კვართით.

გერბის ფარს ზემოთ მოთავსებულია საქალაქო ვერცხლის გვირგვინი სამკოშკიანი ქონგურებიანი გალავანი (ციხე-სიმაგრის ფორმის) ნახევრად ღია კარიბჭით. ფარს ქვემოთ მოთავსებულია გერბის დევიზის ვერცხლ-ლაჟვარდოვანი ბაფთა, რომლის ვერცხლის ველზე შავით ჩაწერილია გერბის დევიზი „ზუგდიდი.“



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დროშა



აღწერილობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დროშა წარმოადგენს მართკუთხედის ფორმის ქსოვილს, რომლის ცენტრში მოთავსებულია ოქროს ჯვარი.

ჯვრის მკლავები ეხება დროშის კიდეებს და დროშის ველს, 4 არათანაბარ ნაწილად ყოფს; სადაც I და III მეოთხედი სიგანით ისე შეეფარდება II და IV მეოთხედების როგორც 3/7.

დროშის I და III მეოთხედები – ლაჟვარდის ფერია, ხოლო II და IV მეოთხედები – ძოწის.

ოქროს ჯვარზე მოთავსებულია ჰერალდიკური ფარი ოქროს მცირე არშიით – ცენტრში ღვთისმშობლის ოქროს კვართით.

ჯვრის მკლავების სისქე წარმოადგენს დროშის სიმაღლის 1/5-ს.

დროშის პროპორციაა 2:3.

